საქართველოს პრეზიდენტის
ადმინისტრაცია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

2007 წლის 5 სექტემბრის №1/1310-14 წერილის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განიხილა "საქართველოს მთავრობასა და შეეცარიის ფედერალურ საბჭოს შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შესახებ" შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1. საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული ოფიციალური ტერმინოლოგიის სწორი ფორმით გამოყენების უზრუნველსაყოფად შეთანხმების პროექტის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვა "მხარეს" შეიცვალოს ტერმინით "ხელშემკვრელ მხარეს". აღნიშნულის გათვალისწინებით გასწორდეს აგრეთვე შეთანხმების პროექტის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი.

2. შეთანხმების პროექტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განსაზღვრულია, რომ "წინამდებარე შეთანხმების უზრუნველსაყოფად შეთანხმებული ომმსახურების განხორციელების მიზნით ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ გაცემული ან ეარგისად აღიარებული და ჯერ კიდევ ძალაში მყოფი სერტიფიკატები, მოწმობები და ლიცენზიები მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ იქნება ეარგისად აღიარებული, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი სერტიფიკატების, მოწმობების და ლიცენზიების მიმართ წაყენებული მოთხოვნები უტოლდება როგორც მინიმუმ კონვენციის შესაბამისად ჩამოყალიბებულ მინიმალურ სტანდარტებს". აღნიშნული დათქმის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გასწორდეს შეთანხმების პროექტის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი, რომელიც ფაქტობრივად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ხელშემკვრელი მხარის მიერ გაცხადდეს პრეტენზია იმ შემთხვევაშიც, თუ მოთხოვნები, რომელთა საფუძველზეც გაიცა მოწმობები და ლიცენზიები, ან მოთხოვნები, რომელთა საფუძველზეც ექსპლუატირებულია საჰაერო ხომალდი,

1824/1-04
18.03.7
2

ა. ინგოროყვას ქ. 7, თბილისი, 0134; ტელ.: 99-79-27, ფაქსი: 93-64-00; ელ. ფოსტა: secretariat@admin.gov.ge

მართალია შეესაბამება (უტოლდება) კონვენციის თანახმად დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს, მაგრამ არ აღემატება ამ სტანდარტებს. ვფიქრობთ, წარმოდგენილი შეთანხმების უზრუნველსაყოფად პრიორიტეტად უნდა განიხილებოდეს შეთანხმების პროექტით გათვალისწინებული მოშსახურების კონვენციით დადგენილი მინიმალური სტანდარტების შესაბამისად განხორციელება.

3. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გადაისინჯოს შეთანხმების პროექტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ არბიტრაჟი, რომელიც განიხილავს წარმოდგენილი შეთანხმების რეალიზაციისას წარმოშობილ დავებს, თავად გადაწყვეტს საარბიტრაჟო პროცედურებზე დანახარჯების გადანაწილების საკითხს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია საჰაერო მიმოსვლის სფეროში დადებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი პრაქტიკა. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 28 დეკემბრის №2559-რს დადგენილებით რატიფიცირებული „საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ" შეთანხმების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საარბიტრაჟო ხარჯები თანაბრად ნაწილდება ხელშემკვრელ მხარეებს შორის. პრაქტიკულად ანალოგიური ხასიათის პრინციპია გატარებული საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 4 მაისის №30 დადგენილებით რატიფიცირებულ "საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა (მთავრობას) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ" შეთანხმებაში. ამ შეთანხმების მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე დაფარავს მის მიერ დანიშნული არბიტრის ხარჯებს. საარბიტრაჟო ორგანოს სხვა ხარჯები თანაბრად გაიყოფა ხელშემკვრელ მხარეთა შორის, მათ შორის ნებისმიერი ხარჯები, რომლებსაც გაწევს საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის თავმჯდომარე ან ვიცე-თავმჯდომარე ამ მუხლით დადგენილი პროცედურების განხორციელებისას.

მიხეილ ნინუა

საქართველოს პრეზიდენტის
ადმინისტრაციის უფროსის
მოადგილე

№ 8/979
18.09.2007